გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №143

2022 წლის 12 აგვისტო

ქალაქი გორი

„გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის #228 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მიმდინარე წლის 12 ივლისს შემოსულია საკრებულოს წევრის, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილის მიხეილ გოგინაშვილის მოხსენებითი ბარათი #21-21221933, ფრაქციის დატოვების თაობაზე. ჩატარდა ფრაქციის სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა საკითხი ფრაქციიდან ფრაქციის წევრის მიხეილ გოგინაშვილის გასვლის შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით მიხეილ გოგინაშვილი აღარ არის ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

1. „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის #228 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2022 წლის 12 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**